Histolith® Antik-Lasur

სილიკატური ლაზური

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები	Histolith® Antik-Lasur წარმოადგენს ლაზურის კონცენტატს, ისტორიული შენობების იერსახის მსგავსი ზედაპირების მისაღებად. განსაკუთრებულად გამოიყენება როგორც ბუნებრივი ქვის ფასადების სტრუქტურის შესანარჩუნებელი საფარი.
თვისებები	■ ატმოსფერული მოვლენების მიმართ განსაკუთრებულად მედეგი ■ წყალამრიდი, w-მაჩვენებელი = 0,05 კგ/მ²√სთ ■ ორთქლგამტარი, S_d-მაჩვენებელი < 0,01 მ ■ ნახშიროჟანგის გატარების მაღალი უნარი
მასალის შემკვრელი	კალიუმის სილიკატი ორგანული დანამატებით, DIN 18 363 პარაგრაფ. 2.4.1-ის შესაბამისად
შეფუთვა	5 ლ.
ფერი	მოთეთრო-გამჭვირვალე შესაძლებელია ხელით შეფერადება Histolith Volltonfarben SI-ით, ან შეფერადებული Histolith® Außenquarz-ის დამატებით (მაქსიმუმ 30%). მანქანური შეფერადება შესაძლებელია ColorExpress-სისტემის არაორგანული ფერადი პასტით. ლაზურის ფერი და სასურველი გამჭვირვალება დგინდება სასინჯი დატანით.
სიპრიალის ხარისხი	მქრქალი
შენახვის პირობები	შეინახეთ გრილ, ყინვისგან დაცულ ადგილას. შეინახეთ პლასტმასის შეფუთვაში.
ტექნიკური პარამეტრები	■ სიმკვრივე: დაახლოებით 1.0 გ/სმ³

გამოყენება

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია № 606 -ის მიხედვით.	

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
+	+	+	+	+
(–) არ არის შასაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი				

შესაფერისი ზედაპირები	ახალი ბათქაშები, ძველი შეუღებავი და შეღებილი ბათქაშები, ნატურალური ქვა, თაბაშირის ფითხები, ბეტონი, კირის საღებავები და ა.შ. ზედაპირი უნდა იყოს სუფთა, მზიდუნარიანი და თავისუფალი დამაცალკევებელი ნივთიერებებისაგან.
ზედაპირის მომზადება	**ექსტერიერი:** **PI, PII და PIII-ის ჯგუფის ცემენტის ხსნარის ახალი ბათქაშები:** დაფარვამდე დაიცავით შრობის დრო - 7 დღე. სინტერის აპკი მოაშორეთ Histolith® Fluat-ით. **ძველი, შეუღებავი PI, PII და PIII-ის ჯგუფის ცემენტის ხსნარის ბათქაშები და ძველი მინერალური ბათქაშები:** ზედაპირი საგულდაგულოდ გაწმინდეთ. არამყარი ფენები მოაშორეთ. დაიტანეთ ერთი საგრუნტი ფენა Histolith®Silikat-Fixativ-ით გაზავებული წყლით, 2:1 ან 1:1 პროპორციით, ზედაპირის შეწოვის უნარიდან გამომდინარე. **დეფექტების აღმოფხვრა ბათქაშში:** შემავსებელი ბათქაში სტრუქტურით და სახეობით უნდა შეესაბამებოდეს ძველ ბათქაშს. შეკეთების ადგილები კარგად უნდა იყოს მოჭიდებული და გამშრალი. შეკეთების ადგილები დამუშავდეს Histolith® Fluat-ით და მოირეცხოს წყლით. **ბუნებრივი ქვა:** დასაფარად გამოდგება მხოლოდ ფოროვანი, შეწოვის უნარის მქონე ქვა. დაიტანეთ საცდელი ფენა და შეამოწმეთ თავსებადობა. ზედაპირი კარგად გაწმინდეთ. არამყარი ფენები მოაშორეთ. ფშვნადი ზედაპირები დაფარვამდე გაამაგრეთ Histolith® Steinfestiger-ით. შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ ბუნებრივი ქვა შეიცავს წყალში ხსნად კომპონენტებს, შესაძლოა მოხდეს მათი ლაქების სახით გამორეცხვა ზედაპირზე. **სოკოთი და წყალმცენარეებით დაზიანებული ზედაპირები:** გაწმინდეთ სველი მეთოდით. გაშრობის შემდეგ დაამუშავეთ Histolith®Algenentferner-ით და დატოვეთ გასაშრობად. დაფარვის სტრუქტურის განსაზღვრასთან დაკავშირებით გირჩევთ მიმართოთ ჩვენს ტექნიკურ განყოფილებას. **ინტერიერი:** **PI, PII და PIII-ის ჯგუფის ცემენტის ხსნარის ახალი ბათქაშები:** დაფარვამდე დაიცავით შრობის დრო - 2-4 კვირა. სინტერის აპკი მოაშორეთ Histolith® Flu-at-ით. **PIV-ი ჯგუფის თაბაშირის ხსნარის ბათქაშები:** მყარი ბათქაშები: დაიგრუნტოს Histolith® Weißgrund-ით. რბილი ბათქაშები გამყარდეს Histolith®Spezialgrundierung-ით. სინტერის აპკის მქონე თაბაშირის ბათქაშები დაიშლიფოს და გაიწმინდოს მტვრისგან, დაიგრუნტოს Histolith®Spezialgrundierung-ით. გაშრობის შემდეგ დაიტანეთ შუალედური ფენა Histolith®Weißgrund-ით. **თაბაშ-მუყაოს ფილები:** შერჩენილი ფითხი გაშლიფეთ. დაგრუნტეთ Histolith® Weißgrund-ით. რბილი ადგილები გაამყარეთ Histolith® Spezialgrundierung-ით. იმ შემთხვევაში თუ თაბაშირმუყაოს ფილები შეიცავს წყალში ხსნად კომპონენტებს, დაგრუნტეთ Caparol Aqua-Sperrgrund-ით. **თაბაშირის სამშენებლო ფილები:** დაგრუნტეთ Histolith® Weißgrund-ით. **ბეტონი:** არსებობის შემთხვევაში მოაშორეთ განმაცალკევებელი ნივთიერებების ნარჩენები. **ძველი მზიდუნარიანი, მქრქალი დისპერსიული საღებავები:** ზედაპირი კარგად გაწმინდეთ. დაგრუნტეთ Histolith® Weißgrund-ით. **დანაფარები წებოვანი საღებავით:** საფუძვლიანად ჩამორეცხეთ. დაგრუნტეთ Histolith® Spezialgrundierung-ით. **ობით დაზიანებული ზედაპირები:** გაწმინდეთ სველი მეთოდით. გაშრობის შემდეგ დაამუშავეთ Histolith®Algenentferner-ით და დატოვეთ გასაშრობად. დაფარვის სტრუქტურის განსაზღვრასთან დაკავშირებით გირჩევთ მიმართოთ ჩვენს ტექნიკურ განყოფილებას.
დატანის მეთოდები	სასურველი ლაზურის ეფექტის შესაბამისად დაიტანეთ ჯაგრისით, ფუნჯით, ბუნებრივი ღრუბლით ან ჩვრით.

დაფარვის სტრუქტურა

პროდუქტი გამოიყენეთ მხოლოდ შეფერადებულ მდგომარეობაში.

ლაზურის ფენა ბუნებრივ ქვაზე:
სადგრუნტავი, შუალედური და საბოლოო ფენა, სასურველი გამქვირვალების შესაბამისად გაზავებული 10% Histolith Silikat-Fixativ-ით, გათხელებული წყლით, პროპორციით 2:1.

ლაზურის დეკორატიული ფენა ფასადის ზედაპიზე:
ძლიერად ან არათანაბრად შემწოვი ან ცარცვადი მინერალური ზედაპირები დაგრუნტეთ Histolith® Silikat-Fixativ-ით, გათხელებული წყლით, პროპორციით 2:1 ან 1:1, ზედაპირის შეწოვის უნარიდან გამომდინარე. საგრუნტავი და შუალედური ფენა (თეთრ ან მომდევნო ლაზურის ფერის შესაბამის ღია ფერში) Histolith® Quarzgrund ან Histolith® Außenquarz-ით, სასურველი სტრუქტურის შესაბამისად.

საბოლოო საფარად ლაზურის სასურველი ეფექტის მისაღებად დაიტანეთ პროდუქტის 1-3 ფენა, სასურველი გამქვირვალების შესაბამისად შერეული Histolith Silikat-Fixativ-ით და გაზავებული წყლით, პროპორციით 2:1.

ლაზურის დეკორატიული ფენა ინტერიერის კედლებზე:
ძლიერად ან არათანაბრად შემწოვი ან ცარცვადი მინერალური ზედაპირები დაგრუნტეთ Histolith® Silikat-Fixativ-ით, გათხელებული წყლით, პროპორციით 2:1 ან 1:1, ზედაპირის შეწოვის უნარიდან გამომდინარე. საგრუნტავი და შუალედური ფენა (თეთრ ან მომდევნო ლაზურის ფერის შესაბამის ღია ფერში) Histolith® Quarzgrund ან Histolith® Außenquarz-ით, სასურველი სტრუქტურის შესაბამისად.

საბოლოო საფარად ლაზურის სასურველი ეფექტის მისაღებად დაიტანეთ პროდუქტის 1-3 ფენა, სასურველი გამქვირვალების შესაბამისად შერეული Histolith Silikat-Fixativ-ით და გაზავებული წყლით, პროპორციით 2:1.

ხარჯი

დაახლ. 80–100 მლ/მ^2/ერთ ფენაზე, სწორ ზედაპირზე.

პროდუქტის ხარჯის ზუსტი განსაზღვრა მხოლოდ სასინჯი დატანით.

გამოყენების პირობები

მასალის, გარემოს და ზედაპირის ტემპერატურა:
მინიმალური ტემპერატურა: +8°C.

შრობის დრო

20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი მშრალია და მზადაა შემდეგი დამუშავებისთვის 12 საათში. წვიმის მიმართ მედეგია 24 საათში.

უფრო დაბალი ტემპერატურის, მაღალი ტენიანობის შემთხვევაში შრობის ხანგრძლივობა იზრდება.

ხელსაწყოების წმენდა

სამუშაოების დამთავრებისთანავე გაირეცხოს წყლით.

შენიშვნა

გადაბმის ადგილებზე ზოლოვანი ლაქების გაჩენის თავიდან ასაცილებლად პროდუქტი დატანილ უნდა იქნას ერთი მოსმით " სველი-სველზე" მეთოდით.
არ გამოდგება წყლის დატვირთვის მქონე ჰორიზონტალური ზედაპირებისათვის.
დამუშავების პროცესში მოერიდეთ მაღალ ტემპერატურებს, ძლიერ ქარს, ნისლს, მაღალ ტენიანობას და წვიმას. შრობის პროცესში წვიმისგან თავდასაცავად ზედაპირი შეფუთეთ.

დაცვითი ღონისძიებები:
დასამუშავებელი ზედაპირის მიმდებარე ობიექტები კარგად შეფუთეთ. განსაკუთრებით მინის, კერამიკის, ლაქწასმული, კლინკერის აგურის, ბუნებრივი ქვის, ხის და მეტალის ზედაპირები.

მითითებები

უსაფრთხოების ნორმები

მოარიდეთ ბავშვებს! არ ჭამოთ, დალიოთ ან მოწიოთ პროდუქტთან მუშაობის დროს. დამუშავების და შრობის პროცესში იზრუნეთ შესაბამის განიავებაზე. კანთან ან თვალებთან კონტაქტისას დაუყოვნებლივ დაიბანეთ წყლით. არ დაუშვათ კანალიზაციაში, წყალსაცავებში ან ნიადაგში მოხვედრა. ხელსაწყოები გამოყენებისთანავე გარეცხეთ წყლით და საპნით. ტუტე მასალა. დაიცავით კანი და თვალები შხეფებისგან. შეფუთეთ დასამუშავებელი ზედაპირის მიმდებარე ობიექტები. მოხვედრილი შხეფები დაუყოვნებლივ მოწმინდეთ. საშლიფი სამუშაოებისას გამოიყენეთ მტვრის ფილტრი P2. არ შეისუნთქოთ შეფრქვევისას წარმოქმნილი "ღრუბელი". გამოიყენეთ კომბინირებული ფილტრი A2/P2.

უტილიზაცია

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას როგორც ლაქების ან საღებავის ნაშთი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც გამხმარი საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.

აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC)	პროდუქტის კატეგორია (A/a): 40 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 10 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
პროდუქტის კოდი საღებავები და ლაქები	M-SK01
შემადგენლობა	პოლიმერული აკრილის ფისი, ტიტანის დიოქსიდი, სილიკატები, წყალი, გლიკოლი, გლიკოლეთერი, ადიტივები, კონსერვანტები (მეთილ-/ბენზიზოთიაზოლინონი).
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პროდუქტის უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი. **შპს კაპაროლ ჯორჯია** ალ. ქართველიშვილის ქ. N8, 0198 თბილისი საქართველო office@caparol.ge